



მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 1062

2016 წლის 30 ივნისი

ქ. მცხეთა

შ.პ.ს. „ბელა“-სათვის თანხის გადარიცხვის შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „ბელა“-ს შორის 14.06.16წ. გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №58 ხელშეკრულების, 30.06.16წ. მიღება-ჩაბარების აქტის, თანდართული შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა N2), შ.პ.ს. „ბელა“-ს დირექტორის მინდობილი პირის, ნ. გოცირიძის 22.06.16წ. №2-1542 წერილისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, მერაბ თუხარელის 29.06.16წ. №2-1542 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

წყლის სისტემების რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან, შ.პ.ს. „ბელა“-ს გადაერიცხოს სოფელ წეროვანში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება - 20445 (ოცი ათას ოთხას ორმოცდახუთი) ლარი და 78 თეთრი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი



ზურაბ აბესაძე